

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: <ul style="list-style-type: none"> ➤ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➤ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➤ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➤ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➤ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისგარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ სამშენებლო/საპროექტო და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ- ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით • შეასწავლოს სტუდენტს მაღალი სირთულის შენობა-ნაგებობების გაანგარიშება სიმიციფზე, სიხისტესა და მდგრადობაზე, როგორც ექსპლუატაციის მთლიანი ვადის განმავლობაში, ისე მონტაჟისა და დამზადებისას, შრომისა და მასალის მინიმალური დანახარჯებით • შეასწავლოს შენობა-ნაგებობებისა და სპეცდანიშნულების სამშენებლო კონსტრუქციების, ფუძე-სამირკვლების კონსტრუირების მეთოდები. საშენი მასალების, მშენებლობის ტექნოლოგიების, მშენებლობის ორგანიზაცია- მართვის ღრმა და სისტემური თეორიული საკითხები და პრაქტიკული მეთოდები. მშენებლობის მოდელირების კომპიუტერული სისტემების მეთოდები, ასევე მშენებლობის კანონმდებლობა და შრომის უსაფრთხოება. • მოამზადოს სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • ახდენს სამშენებლო კონსტრუქციების თეორიებისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: მექანიკის, სეისმომედევობის და სხვა მეცნიერებების ინტერპრეტირებას და კრიტიკულ გააზრებას • აცნობიერებს მშენებლობის წარმოებასა და სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებულ პროცესებს, მასში მიმდინარე ფინანსურ პროცედურებს და სამართლებრივ რეგულაციებს; • აცნობიერებს პროექტში კონსტრუქციების (მათ შორის ინოვაციური), საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემების ერთიანად ფუნქციონირების აუცილებლობას. • პროექტის მომზადების ეტაპზე და სამშენებლო საქმიანობის წარმართვისას ითვალისწინებს დამკვეთის ინტერესებს, უსაფრთხოების ფაქტორებს, ეკოლოგიურ მნიშვნელობას; პროფესიულ ეთიკას და ღრმად აცნობიერებს მშენებლის როლს საზოგადოებაში. <p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმნის სამშენებლო კონსტრუქციულ პროექტს მაღალი სირთულის შენობა-ნაგებობებზე (ამაღლებულ სართულიანობისა და მაღლივი შენობები, ჩარჩოვანი, თაღოვანი, გარსების, გუმბათების და სხვა მსგავსი ტიპის სისტემები) მათემატიკური მოდელირების, საინჟინრო მექანიკის, სეისმომედევობისა და კომპიუტერული სისტემების ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ესთეტიკური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით. • აწარმოებს მაღალი სირთულის შენობა-ნაგებობებზე სამშენებლო პროცესს, წინასწარ

	<p>შედგენილი სამშენებლო-კონსტრუქციული პროექტის მიხედვით უსაფრთხოების, ეკოლოგიური და ეკონომიური, მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • პროექტში ერთ ფუნქციონირებად მთლიანობად აერთიანებს ინოვაციურ კონსტრუქციებს (მათ შორის ინოვაციური), საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემებს; • დამოუკიდებლად აყალიბებს საპროექტო/სამშენებლო დავალებას და უახლესი მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით ირჩევს დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს; <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; უწევს მას კოორდინაციას; იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას. • სწავლის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით დამოუკიდებლად იძენს და იყენებს სამოქალაქო ინჟინერიის სფეროსთან დაკავშირებულ ახალ ცოდნას.
შეფასების წესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) მალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61- 70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ბუფერული ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევგავიდეს.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>თეიმურაზ ქიქავა, პროფესორი ტელ: +995 599514002 ელ-ფოსტა: teimuraz.kikava@bsu.edu.ge გაიოზ (გიზო) ფარცხალაძე, პროფესორი ტელ: +995 577 59 59 43 ელ-ფოსტა: gizo.partskhaladze@bsu.edu.ge</p>